№ 268. სამშაბათი, 29 ივლისი 1896–1897 სამშაბათი, 29 ივლისი, № 268.

რედაქცია:
ტფილისი, ფრეილინის ქუჩა, № 13.
ხელის მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიჰმართვენ რედაქციას დილის 10 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—[illegible] საათამდე და „წერა-კითხვის გამავ.
ხელმოუწერავ წერილებს რედაქცია არ ჰბეჭდავს.
პირისპირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363.

ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური სახალხო გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4 მან.
თითო ნომერი 3 კაპეკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე 5 კაპ.

Редакція
„Цнобисъ Пурцели“
Тифлисъ, Фрейлинская № 13.
Телефонъ № 363.

ხელის-მოწერა
„ცნობის ფურცელზე“
რედაქციის გარდა მიიღება
ექ. ხ[illegible]ძის სტამბის კონტორაშიაც
იქვე მიიღება მსურველთაგან განცხადებანი

„ბანკის ბაღი“
სასახლის ქუჩა, სათავად-აზნაურო მამულში

დღე მუდამ საყოველთაო სეირნობა

ყოველ საღამოს იმართება მომღერალთა გუნდის კონცერტები, სახუმარო სცენები, ცეკვა-თამაში, სიმღერები და სხვ.

მომღერალთა დასი შესდგება შემდეგის არტისტებისაგან: აივაზიანი, დოცენკო, პროცენკო, პოლიანსკი, ჩისტიაკოვისა, სუდინისა, კარლოიჩენკო დასხ. მრავ. სიმღერებს და სცენებს ასრულებენ შესაფერის ტანისამოსებით.

დირექცია შვამისა

საღამოობით ბაღში უკრავს საზანდარი დღისით შუადღიდან 4 საათ. სამხედრო მუსიკა. სეირნობა და დროს გატარება იწყება საღამოს 9 საათიდან.

ბაღში შესვლის ფასი 20 კაპ.

ბაღთან გამართულია
მშვენიერი ბუფეტი და რესტორანი
საჭმელ-სასმელი საგანგებოა, როგორც ადგილობრივი, აგრეთვე ევროპიული. საჭმელები მზადდება განსაკუთრებით კარგად

სადილი 4 კერძი, არაყი, ნახევარი ბოთლი.
ღვინო და ყავა . . . . 1 მან.
— 2 კერძი, არაყიდა ბოკალი ღვინო ღირს . . . 50 კაპ.

როტონდები, ლუზები და კერძო ხეივანები.
!!მიიღება შეკვეთა დიდ სადილ-ვახშმებზე იაფ ფასად!!
ბაღში იყიდება იაფად ყოველნაირი ყვავილები, თაიგულები და სხვა.
იქვე გამართულია სამი ფრეიბერგის ბილიარდი.

„БАНКОВСКІЙ САДЪ“
ЕЖЕДНЕВНОЕ РАЗВЛЕЧЕНІЕ:
Хоръ, пѣвицы, пѣвцы, танцы, куплеты и прочь.
Военный оркестръ и сазандари.
РОСКОШНЫЙ БУФЕТЪ
Образцовая кухня, провизія свѣжая
Цѣны на все умѣренныя.

ფასი ყველაფერზე ზომიერია.
ბაღის პატრონი **ვ. ნ. სხირტლაძე.**
(10—7)



Торговый домъ
С. П. Павловъ.
Тиф. Лорисъ-Меликовская № 6
Телефонъ 349.

Торговый домъ
С. П. Павловъ.
Тиф. Лорисъ-Меликовская № 6
Телефонъ 349.

სავაჭრო სახლი
ს. პ. პავლოვი და კ.
ტფილისი, ლორის-მელიქოვის ქ., № 6, სასულიერო სემინარიის პირდაპირ.
მთელს ქვეყნიერობაზე განთქმული და საუკეთესო
საკერავი მაშინები
ხელით სატრიალებელი 22 მან. 40 მანეთამდე,
ფეხით სატრიალებელი ყოველ გვარ საქმობისათვის ადვილი და მსუბუქად დასატრიალებელი.
მაშინების სიკეთეს **სამის წლით** თავდებად ვუდგებით.
ფასის შემოტანა შეიძლება **ნაწილ-ნაწილად.**
(100—68 წ.)

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ავათმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა.

დილაობით:
ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათამდე, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული (სიფილისი) და შინაგანი.
უ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასიანცი, დილის 11—12 საათ. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფებს.
ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ ს. შინაგანი და ბავშვებისა.
ა. გ. გურკო. დღით 1½—2½ ს. შინაგანი, ყურის, ყელის და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით
ა. მ. პუდინოვი. 6—7 საათ. შინაგან, ბავშვებისა და ნერვებისა.
ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა—დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.
დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана*
Ткфлисъ, противъ памяти. Ворнцову.

ექიმი
უ. მ. ჩიქოვანი
ავადმყოფს იღებს ყოველ დღე დილის 11—12 საათამდე და საღამოს 6—7 მდე.
მიხეილის ქუჩა, № 16.

სამკურნალო და ამბულატორია
ს. ბ. თოფურიასი
ქუთაისში
სამკურნალოში 40 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: **შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი.**
გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.
ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 სათამდე.
შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს **ს. ბ. თოფურია.**
საქირურგიო ავადმყოფობას და სიფილისს **ფ. კ. გერრატი.**
დედათა ავად მყოფობას მკურნალი ქალი **მ. თ. კოგანი.**
თვალების ავადმყოფობას—**ი. კ. ვარშავსკი.**
ამბულატორიაში არის კაბინეტი, საქიმიო და საბაქტეოროლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისთვის და მასაჟისთვის.
სამკურნალოს დირექტორი **ს. ბ თოფურია**
Лѣчебница *С. В. Топурія* въ Кутаисѣ.
(წ.)

დეპეშები

გაზეთ „ცნობის ფურცლისა“
‹რუსეთის სატელეგრაფო სააგენტოსაგან.›

26 ივლისი.

პეტერბურგი. 26 ივლისს შუადღეზე საიმპერატორო გემი „ჰოჰენცოლერნი“, რომელზედაც ბრძანდებოდნენ იმპერატორი და იმპერატრიცა გერმანიისა, შემოვიდა კრონშტატის ნავთსადგურში. სა[illegible]ტორო გემს თან მოსდევდა 9 ჯავშნიანი ხომალდი. ამავე დროს პეტერგოფიდან აქ ჩამობრძანდნენ საიმპერატორო გემით „ალექსანდრიით“ ხელმწიფე იმპერატორი, ხელმწიფა იმპერატრიცა და დიდი მთავარი ზღვაოსნობის უფროსი ალექსი ალექსანდრეს ძე. ხელმწიფე და დედოფალი გადავიდნენ პატარა გემით „ჰოჰენცოლერნზე“; მისალმების შემდეგ იმპერატორნი რუსეთისა და გერმანიისა დედოფლებითურთ გადავიდნენ „ალექსანდრიაზე“ და გაემგზავრნენ პეტერგოფს, სადაც დაუხვდნენ დიდნი მთავარნი და დიდნი კნეინები ამალებითურთ, გერმანეთის კანცლერი თავადი ჰოჰენლოე, ელჩი ფონ-ბიულოვი და მთელი კრებული გერმანიის საელჩოსი. საპატიო ყარაულის დათვალიერების შემდეგ ორნივე იმპერატორნი ჩაბრძანდნენ ეტლში და პეტერგოფის სასახლეში წაბრძანდნენ; მათ მისდევდნენ ეტლითვე ორნივე დედოფლები. სასახლეში გაიმართა საგვარეულო საუზმე. დარი მშვენიერია.

27 ივლისი.

პეტერბურგი. უმაღლესი ბრძანება: გერმანიის იმპერატორი ვილჰელმ II ჩარიცხულ იქმნა რუსეთის ზღვაოსნობის ადმირალად (უფროსად).

პეტერბურგი. სადღესასწაულო სადილი გაიმართა 26 ივლისს, საღამოს 8 საათზე, დიდს პეტერგოფის სასახლეში. უმაღლესს სუფრაზე ბძანდებოდნენ: გერმანიის იმპერატრიცის მარცხენა მხარეს ხელმწიფე იმპერატორი და მარცხნივ დედოფალ ალექსანდრა თეოდორეს ასულთან—გერმანეთის იმპერატორი. ამავე სუფრაზე ბრძანდებოდნენ საიმპერატორო გვარეულობისანი და უმაღლესი მოხელენი რუსეთისა და გერმანიისა. სადილზე ხელმწიფე იმპერატორმა შემდეგის სიტყვით მიჰმართა იმპერატორ ვილჰელმს:

„თქვენი უდიდებულესობისა და მათი უდიდებულესობის დედოფალ იმპერატრიცას აქ ყოფნა დიდად მახარებს და დიდად მესიამოვნება გამოგიცხადოთ თქვენ ჩემი გულ-წრფელი მადლობა. ეს ახალი საბუთია ჩვენის ძველის-ძველის შემაერთებელის კავშირისა, რომელიც არსებობს კეთილ-განწყობილებად ჩვენთა მეზობლურ სახელმწიფოთა შორის და ამავე დროს სრული თავდებია საერთო სიმშვიდისა და ზავის დასაცველად, რაიც შეადგენს საგანს ჩვენის მუდმივის ზრუნვისას და ყოვლად უძლიერესს სურვილს. მე ვსვამ სადღეგრძელოს მათის უდიდებულესობის იმპერატორის და მეფის ვილჰელმისას და მათის უდიდებულესობის იმპერატრიცა დედოფლისას და მთელის უავგუსტოესის სახლობისას!“

ამაზე იმპერატორმა ვილჰელმმა უპასუხა:

„მათი უდიდებულესობა იმპერატრიცა და მე უგულითადესს მადლობას გიცხადებთ, თქვენო უდიდებულესობავ, ამ გულ-წრფელ და საგანგებო მიღებისათვის და აგრეთვე იმ მოწყალე სიტყვებისათვის, რომლით ასე თავაზიანად მოგვეგებება თქვენი უდიდებულესობა. ამასთანავე მე მსურს ვუძღვნა თქვენს უდიდებულესობას ულრმესი და სასიხარულო მადლობა იმ ახალ ყურადღებისთვის, რომელმაც სასიამოვნოდ გამაკვირვა და რომლით აღმნიშნეთ მე თქვენის უდიდებულესობის სახელოვან ზღვაოსანთა რაზმში ჩარიცხვით. ამ განსაკუთრებულს და მნიშვნელოვანს პატივს თქვენის უდიდებულესობისას მე ყოვლად მაღლა ვაფასებ. ჩემს დანიშვნაში რუსეთის ადმირალად მე ვხედავ არა თუ მარტო ჩემს პირადს პატივს, არამედ ახალს საბუთს ჩვენის ძველის-ძველ და გულ-წრფელ დამოკიდებულებისას, როგორც პირადსა, აგრეთვე ჩვენის სახელმწიფოთა შორის,—დამყარებულს შეურყეველ ნიადაგზე. დაურღვეველი გარდაწყვეტილება თქვენის უდიდებულესობისა მშვიდობიანობის და ზავის დასაცველად თქვენი ერის და ქვეყნის საკეთილდღეოდ, ჩემშიაც უსიხარულესს პასუხს ჰპოებს. ამგვარად ერთისა და იმავე გზით მავალნი ჩვენ საერთოდ ვიმეცადინებთ, რომ ჩვენი ერნი მშვიდობიანობის ჩრდილ ქვეშ ვიდოდნენ კულტურულ განვითარებისა და დღეგრძელობისაკენ. სრულის ნდობით შემიძლიან მივსცე თქვენს უდიდებულესობას აღთქმის სიტყვა, რომელსაც, მჯერა, თანაუგრძნობს მთელი ჩემი ერი, რომ დიდებულ საქმეში—მშვიდობიანობის დაცვაში მე ყოველი ჩემის ძალ-ღონით დავეხმარები თქვენ უდიდებულესობას და წინააღმდეგო-

ბას გავუწევ ყველა იმას, ვინც-კი განიზრახავს ან მოინდომებს მშვიდობიანობის დარღვევას. ვსვამ მათის უდიდებულესობათა ხელმწიფე იმპერატორის და დედოფალ იმპერატრიცას სადღეგრძელოს!»

უკანასკნელი სიტყვები გერმანიის იმპერატორმა რუსულად წარმოსთქვა.

ტულონი. საზღვაოსნო მინისტრის ბრძანებით, კრიტოსში საჩქაროდ გაემგზავრა ჯავშნიანი გემი ჯარის კაცებით და საომო მასალებით.

ლონდონი. გაზ. „Daily News“-ს დეპეშით ატყობინებენ თავრიზიდგან, რომ სპარსეთ-ოსმალოს სამზღვრებზე არეულობა მოხდაო. ქურთების შემოსევის გამო, სპარსეთმა ჯარი გაჰგზავნა არტილერიითურთ საზღვრებზე. ოსმალეთის ჯარსაც ბრძანება მისცეს სამზღვრებზე გასვლისა. ომი, როგორც ისმის, მომხდარა ქურთებსა და აჯანყებულ სომეხთა შორის.

სტამბოლი. დეპეშით იუწყებიან, რომ ელჩებმა გარდასწყვიტეს, არ შეიკრიბნენ თოფხანეში, სანამ თევთიქ-ფაშა გარდაწყვეტილ პასუხს არ მოსცემს პორტასაგან, რომ ოსმალეთი თანახმაა მიიღოს ელჩების მიერ შემუშავებული ზავის პირობა.

რუშჩუკი. ტყვია-წამლის საწყობში აფეთქება მოხდა. ჯერ-ჯერობით 46 კაცი აღმოაჩინეს დახოცილი და სამოცი დაჭრილი, რომელთა გადარჩენა საეჭვოა.

პეტერბურღი. 27 ივლისს პეტერბურღს მობრძანდნენ გერმანიის იმპერატორი დედოფლითურთ. დილის $10^3/_4$ საათზედ გამოჩნდა საიმპერატორო გემი ,,ალექსანდრია“ და შევიდა ნავთ-სადგურში. გემიდგან გადმობრძანდა ჯერ იმპერატორი და მერე იმპერატრიცა. ქალაქის თავი გერმანულ ენაზე მიესალმა და დედოფალს მიართვა თაიგული. ქალაქის უფროსმა რაპორტი მიართვა იმპერატორს, იმპერატორმა დაათვალიერა საპატიო ყარაულის ჯარი და მიესალმა. მას შემდეგ მათი უდიდებულესობანი წაბრძანდნენ პეტრე პავლეს სობოროში და ხელმწიფე იმპერატორის ალექსანდრე III კუბო ორის გვირგვინით შეამკეს; გერმანიის იმპერატორი დაეშვა მუხლებზე და დიდხანს ლოცულობდა ალექსანდრე III კუბოსთან. შემდეგ თაყვანი სცეს ალექსანდრე II და სხვათა იმპერატორთა კუბოთ. სობოროდგან წაბრძანდნენ გერმანიის კოლონიის მიერ აშენებულ ალექსანდრეს საავადმყოფოში. 12 საათზე აკურთხეს ხსენებული საავადმყოფო გერმანიის იმპერატორისა ღ იმპერატრიცას თანდასწრებით; საავადმყოფოს კურთხევაზე ბრძანდებოდნენ აგრეთვე დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე, გერმანიის კანცლერი ჰოჰენლოე და რუსეთის მინისტრები გარეშე და შინაურ საქმეთა. დაწვრილებით დაათვალიერეს-რა საავადმყოფო, მათი უდიდებულესობანი ხალხის ,,ურას“ ძახილში გაემგზავრნენ ზამთრის სასახლეში.

* * *

ახალი ამბავი

⁂ **ბინა მოწაფეთათვის.** მთელი რუსეთი შემოიარა წელს ერთმა ფრიად ხამწუხარო ამბავმა, რომელიც შეეხებოდა ტფილისის ერთს ცნობილს სასწავლებელს და რომელიც გამოამჟღავნა ერთმა მშობელთაგანმა ამ სასწავლებლის მოწაფისამ.

საქმის ვითარებას ასე მოგვითხრობდა დაჩაგრული მშობელი: მეო სამსახურის გამო იძულებულ შევიქენ დამეტოვებინა ტფილისი. ჩემი ერთადერთი შვილი, ჩემი იმედი, რომელიც სწავლობდა №-ს სასწავლებელში, არ ვიცოდი ვისთვის ჩამებარებინა და სად დამეყენებინა, რომ არ გახრწნილიყო ზნეობრივ და სწავლაშიაც ზარმაცობა არ დაეწყო. ვერსად ვიშოვე ასეთი ადგილი და მივმართე სასწავლებლის მთავრობას, რათა მათ ესწავლებინათ ჩემთვის ასეთი ბინაო. მათაც მირჩიეს ჩამებარებინა ჩემი შვილი ერთის მათივე მოსამსახურე პირისათვის, რომელიც იქ მსახურობს, თურმე, აღმზრდელის თანაშემწის ადგილზედ. მოვურიგდი, ფული მე არ დავიშურე, ჩავაბარე. დავბრუნდი ერთის წლის შემდეგ და აი რა უბედურება დამხვდაო: ჩემი უმანკო შვილი გალოთებულა, თუთუნის წევას შასჩვევია, გარყვნილ ქალებს აჰყოლია, სწავლაზედ გული აუცრუვებია და სკოლიდამაც დაუთხოვნიათო. როგორც მითხრეს, ამავე ბინაზედ და ამ გვარადვე გაფუჭებულ გარყვნილან სამიც სხვა მოწაფეო.

აი მოკლე და გულ საკლავი ამბავი, მოთხრობილი საწყალის მშობლისაგან.

ახლა თქვენ მიბძანეთ: ასეთი ამბავი პირველი და უკანასკნელია ჩვენს ტფილისში? არა, ასეთი მაგალითები მრავალია, და მხოლოდ ერთმა ხმამ მიაღწია საზოგადოებისა და უმაღლესის მთავრობის ყურამდე. სწორედ ამ გარემოების ბრალია და სხვა არაფრისა ის სამწუხარო ამბავი, რომ ჩვენი ყმაწვილები, სოფლიდამ ჩამოსულები, მეოთხე და მეხუთე კლასს ვერ გასცილდებიან ხოლმე. ადრე და მალე იხრწნებიან ზნეობრივ, ეჩვევიან ზარმაცობას, ავად ხდებიან სხვა და სხვა გვარის საიდუმლო სენით და ასეთი გარყვნილ-გაფუჭებული, არაფრის მცოდნე და არაფერში გამოსადეგნი უბრუნდებიან მშობლებს სოფლად, რათა იქაც შეიტანონ და გაავრცელონ გახრწნილობა, ზარმაცობა, ლოთობა და ყოველივე სიწამხდრე. რა დააშავეს ამ უბედურებმა? რა იმათი ბრალია, რომ მათ მისცეს ხელში დანა, როდესაც მისი ხმარება არ შაეძლოო. რა მათი ბრალია, რომ იგინი მისცეს ქუჩას, თავზედხელ აღებულს თავისუფლებას, როდესაც მისთვის საჭირო იყო ზრუნვა და თვალ-ყური აღმზრდელისა?

აი ერთი მთავარ მიზეზთაგანი, თუ რათ არის მცირე რიცხვი ქართველთა ტფილისის სასწავლებლებში და მეტადრე, რატომ ვერ ათავებენ სწავლას ჩვენი ყმაწვილები.

უნდა დამერწმუნოთ, რომ ეს საგანი ფრიად სამწუხაროა და ღირსია მისი, რომ ჩვენმა სოფლელმა მშობლებმა და ქალაქის ქართველმა ინტელიგენციამ მიაქციოს მას განსაკუთრებული ყურადღება.

რომ მიაღებინეთ, ბატონებო, შვილი სასწავლებელში და ეგზამენი კარგათ ჩააბარებინეთ თქვენს შვილს, ნუ იფიქრებთ, რომ უმთავრესი საქმე გააკეთეთ. მთავარი საქმე იმის შემდეგ იწყება: უშოვნოთ რიგიანი ბინა თქვენს შვილს საცხოვრებლად, უშოვნოთ ბინა, სადაც თქვენს შვილს თვალ-ყურს ადევნებენ, გაფუჭებისაგან დაიხსნიან.

ამ საქმეში სოფლელი მშობელი უძლურია: რა ქმნას, ვის ენდოს, ვის მიაბაროს? განა ამ საკითხის გადაწყვეტა ადვილია?

ამავე დროს მადლითა უფლისათა ტფილისში მრავლად მოიპოვებიან ქართველი მასწავლებლები-პედაგოგები, რომელთა წმინდა მამულის შვილური გრძნობა ყოველს ეჭვს გარეშეა. რატომ არას იფიქრებენ ეს ბატონები, რატომ არ დაეხმარებიან გაჭირებულს სოფლელს მოძმეს?

ჩვენის ფიქრით, კარგს იზავდნენ ტფილელი ქართველი მასწავლებლები, რომ დაარსებდნენ სადმე ცენტრალ ალაგას პანსიონს, ანუ მოწაფეთა სადგურს. ამას არც დიდი თანხა დასჭირდება და არც რთული მომართვა. თითონაც სარგებლობას ნახავდნენ და რაც უფრო უმთავრესია, გაუჩენდნენ სოფლელს თანამოძმეებს მკვიდრს, უზრუნველ, საიმედო ბინას.

სამოსწავლო მთავრობაც მადლობელი იქმნებოდა ამ მასწავლებელთ კრებულისა, რომ მათ დააწესეს საიმედო და წესიერი ბინა.

აგერ ეგზამენების დრო მოახლოვებულია, აგერ საცაა დაიძვრებ სოფლიდამ ახალთაობა სატფილისოდ და დროა, რომ ამ თავითვე შევუდგეთ ,,სოფლელ ბავშვთა ბინის“ მოწყობას.

ძველი ეკალი.

⁂ **შტატ-გარეთ მასწავლებლები უფლებები.** კავკასიის სამოსწავლო ოლქის გამგეობაში ირჩევა კითხვა შტატ-გარეთ გასულ მასწავლებლებ პირველ-დაწყებითი სასწავლებლებისას შერჩეთ ისევე უფლებები, რომლებიც ქონდათ ანმდვილ სამსახურის დროს.

⁂ **თევზების გამრავლება მდ. არაგვში.** მიწად მოქმედების სამინისტროს გამოუგზავნია ფასანაურში ინჟინერ-ჰიდრავლიკი ფსარევი და ბ. კოვრაისკი, რომლებმაც უნდა გაშინჯონ არაგვის ხეობა და გადასწყვიტონ სად და როგორ უნდა გაკეთდეს თევზების მოსაშენებელი აუზი არაგვში. თევზების მოსაშენებლად სალიანიდგან გადმოიტანენ ახლად გამოჩეკილ ლოქოებს.

⁂ **ქუთაისის გიმნაზია და სემინარია.** ქუთაისის გიმნაზიაში წლეულს მსურველნი მიიღებიან მხოლოდ პირველ კლასში, დანარჩენ კლასებში ადგილები არ არის. მისაღები ეკზამენები დანიშნულია 26 და 27 აგვისტოს, შესამოწმებლები

საზაფხულო საპედაგოგიო კურსები ტფილისში.

(გაგრძელება)

პარასკევს, 25 ივლისს, საღამოს შვიდის ნახევარზე, საიმპერატორო კავკასიის სამეურნეო საბჭოში სარძეო ნაწილიდან დაიწყო ლექციები. პარასკევს წაკითხულ იქმნა ერთი ლექცია, შაბათს შუადღემდისინ 4, დამთავრდა საღამოს დიდუბეში სარძეო ფერმის დათვალიერებით. ლექციებს კითხულობდა ბ-ნი ა. ა. ქალანთარი. ბ-ნი ლექტორი ხელოვნურად ჰკითხულობდა ლექციებს. ცოდნის გარდა ლექტორის უპირველესს ღირსებას შეადგენს წარმოთქმა; ამ მხრით ბ-ნი ქალანთარი ორატორული ნიჭით ყოფილა შემკული. ყველასათვის ცხადი უნდა იყოს, რომ გადაჭარბებულს შრომას, როგორც სხეულის, ისე გონების ძალთა სისუსტე მოსდევს. საპედაგოგიო კურსებზე მოწვეულნი მასწავლებელნი სწორედ ნამეტანი შრომისაგან დაღალულნი იყვნენ, მოსალოდნელი იყო ინტერესით ყური აღარ ეგდოთ და სწორედ დაღლილობის ნიშნებიც ეტყობოდათ, მაგრამ საპედაგოგიო კურსებს, საბედნიეროდ, შეჰხვდა ისეთი ლექტორი, რომელიც სწრაფ მიჰხვდა ვისთან ჰქონდა საქმე და გულ-მხურვალედ შეუდგა ლექციების კითხვას. ყოველი მისი სიტყვა გრძნობით იყო წარმოთქმული. განსაკუთრებითი ღირსება ბ-ნ ქალანთარისა მდგომარეობს მასში, რომ სავსებით განიხილა სარძეო ნაწილიდან კავკასიის ხელოვნებასთან ერთად ევროპიელთა ხელოვნებაც, რამაც თვალ-საჩინოდ ჰყო ყველასათვის კავკასიის უკან ჩამორჩენა, რითაც მასწავლებელთ ერთი-ათად გაეღვიძათ სურვილი, ჯეროვანი ყურადღება მიექციათ ლექციებისთვის. საპედაგოგიო კურსებზე მოწვეულ მასწავლებელთა სიტყვით: „ბ-ნ ქალანთარის წყალობით ჩვენის ცხოვრებისათვის ბევრი გამოსადეგი ცნობანი შევიძინეთ“. ამ გულ-წრფელს შენიშვნას ჩვენც სავსებით ვეთანხმებით და ამიტომ მეტი არ იქნება მოვიხსენიოთ ჩვენებურ მეურნეთათვის გამოსადეგი ზოგიერთი ცნობანი.

რძე შესდგება 87% წყლიდგან, $3^1/_2$% სამსუქნო ნივთეულიდგან, $4^1/_2$% შაქრეული ნივთეულიდგან, $4^1/_2$% გამხმარ თეთრეულ ნივთეულიდგან (бѣлковыхъ веществъ), $^1/_2$% ნაცრიდგან. თუ რძეს ლურჯი ფერი დაჰკრავს—წყალ-ნარევია, ნაღები ნაკლები აქვს, მალე ფუჭდება. კარგს რძეს მოყვითალო ფერი დაჰკრავს და სასიამოვნო სუნნელოვანიც არის. ხშირად რძით მოვაჭრენი ბოროტ-მოქმედებენ, რძეს რომ სასურველი ფერი და სუნი მისცენ, ურევენ სხვა-და-სხვა ნივთეულობას. ამის გამოსაკვლევად, ბევრ იარაღთა შორის, ორი ფრიად მარტივი და ყველასათვის ადვილი შესაძენი იარაღი არსებობს «ლაქტოსკოპ ფეზერისა და არეომეტრი ლაქტო დენსიმეტრი“. ამ ორივეთი გაშინჯულ რძეს ავ-კარგიანობა ცხადად შეეტყობა.

რძე ძლიერ ადვილად ითვისებს მის ახლო მდებარე საგნების სუნს, ამიტომ სარძეო ადგილი განსაკუთრებითი სისუფთავით უნდა იყოს დაცული. სარძეო ჭურჭელი ხისა არ უნდა იყოს, მალე ფუჭდება; განათლებულს ქვეყნებში უპირატესობა ეძლევა თუნუქის (ჟესტის) ჭურჭელს. თუ რძე თუნუქის ჭურჭელშია, სუფთა ალაგას სდგას, დიდხანს შეინახება, მეტადრე თუ ცივ წყალშიაც ჩაიდგა (უმჯობესია მდინარე წყალში ჩაიდგას), უფრო დიდხანს შეინახება. განთქმული თუნუქის ჭურჭელი რუსეთის მერძევე ვერეჩაგინისაა, უკეთესად ითვლება გუსარევსკისა. საიმპერატორო კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას ვერეშჩაგინის თუნუქის ჭურჭელი აქვს შეძენილი.

ერთისა და იმავე ძროხის, ერთსა და იმავე დროს მოწველილ რძეს ერთნაირი ღირსება არა აქვს. პირველად თხელი რძე იწველება, შემდეგში თანდათან უკეთესდება, და ბოლოს ჩინებული გამოდის. ასეთს გარემოებას დიდი ყურადღება უნდა მიექცეს. რაც კარგი რძეა ჩვენში, სწორედ იმას უნარჩუნებენ ხოლმე ხბოს; ეს-კი, როგორც ძლიერ ნოყიერი, ხბოსაც ავნებს (მეცნიერებაში შემჩნეულია: ცოცხალი არსება მსუქან ნივთეულობას ძნელად ინელებს) და შემოსავალსაც ანაკლულებს.

„დიდი ნაკლი,—ბ-ნ ქალანთარის სიტყვით, საქართველოს სარძეო მეურნეობისა იმაში მდგომარეობს უმთავრესად, რომ ხბოს მოშორება არ იციან. მათის აზრით, რაც ხბოს ბევრს რძეს დაუმყოფებენ, მით ხბო უფრო თამამი იქნება. ეს შეცდომაა. დახელოვნებულნი მერძევენი ხბორებს კარაქ-გამოხდილ რძეს ასმევენ და იმათი ექვსი თვის ხბორები მაინც ჩვენებურს წლის-ნახევარ დეკეულებზე უფროსი გეგონებათ. თუ ხბოს ადრევე მოვაშორებთ დედას, ძროხა დიდხანს და მეტსაც იწველის“.

განსაკუთრებითი ყურადღება მოწველაზე უნდა იქმნეს მიქცეული. მოწველაზე არის დამოკიდებული ცურის გადიდება, (ის სხეულის ნაწილი, რომელიც ვარჯიშობს, უფრო უკეთესდება). ცურის გადიდებაზედ კიდევ დამოკიდებულია ძროხის ჯიშის გადაგვარება. ,,ევროპაში დღევანდელი განთქმულის ჯიშის ძროხა პირველად არაფრით არ განირჩეოდა უბრალო ძროხისაგან და დღეს თუ თვალ-საჩინოდ განირჩევა, განირჩევა იმიტომ, რომ ევროპიელნი განსაკუთრებითის ყურადღებით ეკიდებოდნენ ყველა იმას, რაც ძროხის ცხოვრების გაუმჯობესებას ხელს უწყობს, რაც ჩვენში უმნიშვნელოდ არის დატოვებულიო“.

რაც უფრო ძროხას თანაბრად და ერთგვარი საჭმელი ეძლევა, მით მეტს და უკეთესს რძესაც იძლევ ასეთ საკვებად თივა ითვლება. როპაში განგებ სთესავენ სხვა-სხვა ნოყიერ ბალახეულთ ძროხ საკვებად. სწორედ ასეთ კვების მიღებული რძე ხმარებულ იყოს ბავშვთა საკვებათ, თუ დ რამე საპატიო მიზეზის წყალო თვისი რძით შვილის გამოკვება ძალუძს. მწვანე ბალახზე მინებე ლი ძროხა, იმის მიხედვით, რ ხან კარგი საძოვარია, ხან უვარგ სი, რძეს ერთ გვარს არ იძლევა. ამნაირი რძით ბავშვთა კვება, შეუძლებელია, ბავშვს ტანში შეჰკრავს ჩვენებურად გაჰჩირხალავს.

რძის ავ-კარგიანობა დამოკიდებულია აგრეთვე ძროხის ჯან-მრთელობაზედ, ამიტომ საჭიროა განსაკუთრებითი ყურადღება მიქცეულ იქმნას იმ საგნებზედ, რომელნიც ხელს უწყობენ ძროხის ავადმყოფობას. ძროხისათვის სადგომი ბინა ისეთივე სუფთა, ნათელი ღ ჰაეროვანი უნდა იყოს, როგორიც ადამიანთ სჭირდებათ, მათი ტანის მოვლა: დაბანვა, დარუება ყოველ დღე უნდა სრულდებოდეს. ავადმყოფობის დროს

21, 22, 23 და 26 აგვისტოს.

განმეორებითი და დამატებითი ეგზამენები ქუთაისის სემინარიაში მოსწავლეებისათვის დაიწყება 21 აგვისტოდგან, მისაღებები პირველ კლასში — 26 აგვისტოს.

⁂ **ბუხრის ემირის ჩამოსვლა.** გუშინ, ნაშუადღევის ოთხს საათზედ, საქართველოს სამხედრო გზით ჩამოვიდა მისი უმაღლესობა ემირი ბუხარისა მირ-სეიდ-მირ-ასად-ხანი და გაჩერდა სასტუმრო ,,ორიანტ''-ში. მის უმაღლესობას მიეგებნენ: ბ. ტფილისის გუბერნატორი, ბ. კამენდანტი, ბ. პოლიცმეისტრის მოადგილე ლოლაძე, ჟანდარმთა უფროსი და სხვა სამხედრო და სამოქალაქო დაწესებულებათა მოხელენი. ემირი მოსვლისათანავე ინახულა მთავარ მართებლის თანაშემწემ გენერალ-ლეიტენანტმა ფრეზემ.

⁂ **ამინდი ტფილისში.** ეს მეხუთე დღეა, რაც ტფილისში შესამჩნევად აგრილდა და თითქმის გამუდმებით წვიმა მოდის; თუ ასე გაგრძელდა, უეჭველია, სააგარაკოდ გასულნი მალე დაბრუნდებიან ტფილისში.

⁂ **ბ-ნი მ. საბინინის წერილი მისი შეურაცხყოფის გამო.***) უფალო რედაქტორო! თქვენს გაზეთში მეორე შენიშვნა იყო ჩემთან სამწუხარო შემთხვევაზე და მიტომ გთხოვთ მოსცეთ ამ წერილს მცირე ადგილი თქვენს გაზეთში: 24 ამ თვისას მე შემემთხვია ფრიად სამწუხარო მოულოდნელი ჩემ მიერ საქმე, რომელმა მოსცა ფრიად მრავალთა მექორეთა გავრცელება ერთა შორის არა სიმართლის ხმისა, არამედ სრულიად ჭეშმარიტების შერყევისა. საქმე გახლდათ ესრეთ: სწორედ იყო დღის პირველის ნახევარი, რომ ნასყიდურით გამოველი თამამშოვის ქარვასლიდგან და მივმართე პოლიციის ჩრდილო მხარეს, რაკი იყო სასტიკი სიცხე და საქმე მქონდა განოვის ქუჩაზედ; კუთხეზედ იდგა ერთი პოლიციის ოკოლოდოჩნიკი. იმ კუთხიდგან მივმართე განოვის მარჯვენა მხრის ჩრდილოს, როდესაც გადავდიოდი მეორე კუთხიდგან, რომელსა ზედა, როგორც გაკვრით ვნახე, ხალხი იდგა, — მომესმა ერთი ვიღაცა ჩერქესკიან პირისაგან ძახილი: „ეჲ დაგლეჯილო მღვდელო, აქ მოდი საჩქაროთ!“ მე ყური არ ვადევნე და აღველ ტროტუარზედ და ვიდოდი ჩემს გზაზედ; მივეახლოვე დუქანს სარდაფსა იშხანოვისასა, რომლის წინ იდგა მოსკოვის საპივო (სალუდო) ქარხანის ფურა, რომლიდგან ცლიდნენ ლუდსა; ის იყო გადავდიოდი დუქნის კიბეს – მესმის ვილაცამ მტაცა ხელი სასტიკის ხმით: „შენ არ გესმის ჩემი ხმა, რატომ არ მოხველ, რომ გეძახოდი! მე შეშინებული ამ ვიღაცა საშინლად აღელვილის პირისაგან, ვუპასუხე საჩქაროთ: „უკაცრაოდ, მე თქვენ არ გიცნობთ, რა საქმე მაქვს თავი დამანებეთ მე ჩემს გზას მივდივარ— გთხოვთ თავი დამანებოთ“. მაშინ მტაცა პიჯაკს და დამიწყო თავის მხრისკენ გაწევასა ძალით, მე უკან გამოვიწიე-და ხმა მაღლა შევსძახე: ,,თავი დამანებეთ, რა გინდათ ჩემგან, რა საქმე გაქვთ ჩემთან, მე არ ვიცი ვისთანა მაქვს პატივი ლაპარაკისა, თავი დამანებეთ!'' აჲ ვისთანა გაქვსთო პატივი და გამიშალა მარჯვენა ხელი და სასტიკი სილა მსტყორცნა მარცხენა პირსა ზედა, რომლით ჩამიმტვრია ლურჯი სათვალეები და ამ შუშით გამიბზარა მარცხენა მხარე ცხვირისა რომლიდგან იწყო დენა სისხლმა; თავიდგან გადამვარდა შლიაპა. მე ერთ წამათ გაშეშებულივით დავრჩი, და ვნახე რომ ამ პირმა ხანჯალს ხელი მიჰყო მე მაშინვე მოუარე ცხენებსა და შევარდი პოლიც-მეისტრის ,,უპრავლენიაში''; დავიწყე ყვირილი შეწევნისა—არვინ მომცა ხმა, ჩამოველ ტროტუარზედ კუთხის მხარეს მივიხედე სდგას იგივე ოკოლოდოჩნიკი, მივირბინე იმასთან და ვთხოვე შემწეობა რაჲმე მომცეს; იმან სრულიად მშვიდად მითხრა: შეგიძლიანთ იჩივლოთ. დავბრუნდი იმისაგან, ამ დროს მომაწოდეს შლიაპა. ავარდი კვალად პოლიცმეისტერის უპრავლენიაში, დავიწყე ძახილი და არავითარი ხმა არავინ მომცა—ოთახებს გვიდნენ. ჩამოველი კვალად ტროტუარზედ და ვნახე დიდი ყრილობა ხალხისა და ხსენებული ოკოლოდოჩნიკი სდგას და სწერს ჩემის შეურაცხმყოფის სახელს, გვარს და სადგურს—მერე ჩასწერა ჩემიც. მე ვჰკითხე ოკოლოდოჩნიკს, ვისთან მაქვს პატივი ლაპარაკისა. მითხრა რომაო, მე ვარ ოკოლოდოჩნიკი მეოთხე უჩასტკისა პაშტიუც.—მივუბრუნდი, ჩავჯექ ფაეტონში და მივმართე მეოთხე უჩასტკას—სადაც გარდა დეჟურნის ოკოლოდოჩნიკის მეტი არავინ დამხვდა და რომელმაც მაწვივა სისხლის მობანა პირიდგან— და თვალებიდგან; მოვიხსენ ჩამტვრეული საათვალეები—ვერა რა გავაწყერა—ავდეგ და წარველ შინ, ვერ აღმოვთქვამ საშინელს შეწუხებასა; უცებ წამსქდა ცხვირიდგან და მარცხენა ყურიდგან სისხლი, რომელიც ძლივს შევიყენე, რომელმაც სრულიად დამასუსტა ისეც ავათ მყოფი კაცი.

მე ამ საუბედურო და წარმოუდგენელ შემთხვევასა ზედა ამას ვიტყვი, ყოვლად სიმართლესა ვიმოწმებ მართლ მსაჯულ მეუფესა, რომ აქამომდეს არა რაჲ ვიცი რა იყო — რად მოხდა, როგორ იყო, რამ გამოიწვია ეს საშინელი საქმე ჩემზედა, რომელსაც არავისთან არა რა შემთხვევა არა მქონია და არც ვიქონიებ ვიცი თვისება აქაურთა — ამას გარდა როგორ მოხდა ეს საუბედურო საქმე პირისაგან ჩემზედა, რომელსაც ვიმოწმებ ყოვლად მხედველს ღმერთს, არ ვიცნობდი არც სადმე მინახავს; მე ამ პირის სახელი, გვარი და სადგური იმავე 24 დღის საღამოზედ უჩასტკაში მომცეს მცირე ქაღალდზედ დაწერილი, რომელსა ზედა ეწერა ესე: მილიციის პრაპორშჩიკი გიორგი დავითის ძე ყაზბეგი სცხოვრობს ყორღანოვის სახლში მარტყოფის ქუჩაზედ. კვალად ვიტყვი და ვიმოწმებ ღმერთსა და სვინიდისს, რომ მე ბატონს ყაზბეგს სრულიად არ ვიცნობ, ეხლაც რომ ვისმესთან შევხვდე ვერ შემიძლიან ვსთქვა, რომ ამ პირმან ინება გამოუწვევლად ჩემი ამისთანა შეურაცხმყოფობა. ეხლა სხვამ რაც უნდა სთქვას მე ამ საქმეს მივმართამ ღმერთსა და იმის მართლ-მსაჯულობას; იმან განსაჯოს მართალი და მტყუანი და მიაწიოს მისაგებელი თვისი.

მე ოცდა შვიდი წელი ვემსახურები საქართველოს და ბრწყინვალე კარიერი, რომელიც მეძლეოდა ხელში ამას შევსწირე და ამათა ყოველთათვის გარდა უბედურობისა და შეურაცხმყოფობისა არა რა მივიღე და ვკმარობ მუშაობასა. ამ აღწერილმა შემთხვევამ მარცხენა თვალი სრულიად წამიხდინა და ბნელი წყალი მომგვარა, როგორც აღმიხსნა გუშინ ექიმმან, და მუშაობის თავი აღარა მაქვს.

რაკი მე ბატონს ყაზბეგს არ ვიცნობ და არც სადმე მინახავს, ან მქონია შემთხვევა ლაპარაკისა, ჩემის აზრით, ესენი არ რიან დამნაშავენი ამ ჩემის უბედურობისა, არამედ სხვა ვინმე უნდა იყოს მდომი ჩემი შეურაცხმყოფობისა—რომელმაც უნდა იცოდეს და თუ არ იცის მოვახსენებ სიტყვასა ღვთისასა: ,,რამეთუ რომლითა საწყაულითა მიუწყოთ მოგეწყოსთ თქვენ.''

უწესოდ შეურაცხქმნილი და ფრიად ვნებული მ. საბინინი.

⁂ **დ. ხონი** (იმერეთი) **უწესრიგობა და თვით ნებობა ადმინისტრაციისა მამასახლისის არჩევანზე.** გაზეთ ,,Новое Обозрѣніе''-ს ატყობინებენ ხონიდგან მეტის-მეტ უწეს-რიგობას, რომელიც მომხდარა იქ ამ უკანასკნელ ხანში მამასახლისების არჩევანის გამო. საზოგადოებას უნდა ამოერჩია ახალი მამასახლისი. ადგილობრივმა საბოქაულომ, რასაკვირველია, იცოდა, როდის უნდა მომხდარიყო არჩევანი, მაგრამ უკანასკნელ დღემდე მას ხმა არ ამოუღია. ხალხმა გაიგო ორშაბათს პირველად, რომ დღესვე უნდა იქნეს მამასახლისი არჩეული. არჩევანის წინა დღეს, კვირას ხონის სხვა და სხვა ადგილებში გამართული იყო ქეიფ-პატიუობა ხალხისა, მაგრამ რა დღეს იქნებოდა ყრილობა, ამაზედ არავინ არა იცოდა-რა. ორშაბათ დღეს ბოქაული შეეკითხა უცებ შეგროვილ ხონელებს: ,,გსურთ თუ არა ძველი მამასახლისიო?'' ხალხის ერთი ნაწილი ,,ჰოს'' იძახდა მეორე—,,არას''. აქ, რასაკვირველია, არა, გაიგებოდა-რა. რამდენიმე პირი მივიდა ბოქაულთან და მოწიწებით თხოვა,—ნება, მიეცა ხალხს წამოეყენებინათ თავიანთი კანდიდატები, ბოქაულმა უარი უთხრა კანდიდატებზედ და უბძანა პასუხი მიეცათ: სურთ თუ არა ძველი მამა-

ვეტერინარულ ექიმს (ბეითალს) უნდა მიჰმართონ, თუ თვითონ დახელოვნებულნი არ არიან.

ჩვენში ცხვრის მოვლას უფრო დიდი ყურადღება აქვს მიქცეული, ვიდრე ძროხისას. უკეთესი იალაღები ცხვარს უჭირავს. ყოველ შემთხვევაში იალაღში ჯერ ცხვარს გაუშვებენ და შემდეგ ძროხას, ევროპაში-კი წინაამდეგ არის მიღებული: უკეთეს იალაღში ჯერ ძროხას შეჰრეკავენ და მერე ცხვარს. ცხვარი იმდენს არა სჭამს, რასაც ფეხით სთელავს, მაშასადამე იალაღს სრულებით აჩანაგებს, რომლის შემდეგ ძროხებს მართლაც და აღარაფერი ჰრჩებათ.

პატივცემულმა ლექტორმა დაწვრილებით განიხილა კარაქის მოსამზადებელნი იარაღნი ჩვენსა და ევროპაში. „საქართველოში კარაქის მოსამზადებელი იარაღი სადღობელია, თუმცა იგი თვალ-საჩინო არ არის, მაგრამ არც დასაწუნია. უპირველესი ღირსება სადღობლისა არის მისი შიგნითი უბრალო და სუფთა მოწყობილება, ადვილია სახმარებლად და კარაქის სავსებით მოცემა. ჩვენებური სადღობელი ამ ღირსებათა მიხედვით ბევრ ით უკან ჩამორჩენილი არ არის. ამავე მოყვანილობის სადღობელი, მხოლოდ უფრო შემუშავებული, ევროპაში დღესაც ხმარებაშია. ასეთს სადღობელს უწოდებენ ხმერ-დენისას. არიან სხვა-და-სხვა ახლად შემუშავებული სადღობელნიც, სახელდობრ, გალშჩინისა, დანიისა და გერმანული ღეველდისა. პირველი ორი მიღებულია უფრო დიდს სარძეო მეურნეობაში, მეორე შუათანაში.

დღვების დროს უცვლელ კანონად ითვლება ზამთრობით რძის სითბო 12⁰-, ზაფხულობით 8-⁰. დღვების დროს რძე ცხელდება, ამიტომაც მიღებულია ცივი წყლის დასხმა. ჩვენებურად რომ ვთარგმნოთ, რძე ნელ-თბილი უნდა იყოს. უკეთესს კარაქის თვისებად ითვლება მოყვითანო თანაბარი ფერი, სასიამოვნო სუნნელოვანება, სიფხვიერე და სიმაგრე. თუ კარაქი მომლაშოა, ფქვილივით იზილება, არ ვარგა.

ხშირად მოვაჭრენი ბოროტ-მოქმედობენ, სხვა-და-სხვა მასალებით შემზადებულ კარაქს წმინდა კარაქის სახელით ჰყიდიან. ჩვენში გავრცელებულია მარგარინის კარაქი, რომელიც ნახევარზედ მომეტებულად ქონისაგან შესდგება. მარგარინის კარაქი საქართველოში უფრო უწინ იყო შემოღებული, ვიდრე ევროპაში. ამის მიზეზი შემდეგია: ოჯახისთვის ძნელია ყოველთვის ხალასი კარაქი იხმაროს, მაგრამ გემო რომ არ შეცვლილიყო მომეტებული ცხვრის დუმის ხმარებით, ერბოსაც უმატებდნენ. ევროპაში ფრანგ-პრუსიელების ომიანობის დროს არის შემოღებული; მარგარინის ისტორია ევროპაში პატივცემულმა ლექტორმა მოკლედ გააცნო მასწავლებელთ, რითაც ლექციების ყურის გდება უფრო გააცხოველა. მარგარინის კარაქს ისე ხელოვნურად ამზადებენ, რომ, თუ არ ქიმიურად, ისე ძნელია შემჩნევა, ყოველ შემთხვევაში კარაქი ხელში უნდა გაიზილოს, თუ ფქვილის თვისება აქვს, მარგარინისა არის. შეიძლება გაიშინჯოს ასეც: თუ დაზელილ კარაქში ამოვლებული პატრუქის ნამწვავს ქონის სანთლის სუნი უდის — მარგარინისა იქნება.

პატივცემულმა ლექტორმა განსაკუთრებითი ყურადღება მიაქცია აგრეთვე ყველის გაკეთებას. ,,საქართველოში მიღებულია, ათას გვარი ნივთეულობა შეუერთონ საყველოდ მომზადებულ რძეს, რის გამოც ყველი დაბალი ხარისხისა გამოდის, განათლებულ ქვეყნებში საყველეს მეტს არაფერს არა ჰხმარობენ.“ განხილულ იქმნა აგრეთვე თუ-თუშური ყველის მომზადება და მათი ღირსებანი. უსასყიდლოთ უთავაზა მასწავლებელთ ორი ეკზემპლიარი თვის თხზულებისა Бесѣды о МОЛОЧНОМЪ ХОЗЯЙСТВѢ, ღირებული 40 კაპ.

დასასრულ ბ-ნმა ა. ა. ქალანთარმა მიჰმართა მასწავლებელთ მოკლე, მაგრამ გულ-მხურვალე, სიტყვით: „ჩემს თავს ბედნიერად ჩავსთვლი, თუ ჩემი ლექციებიდგან იმას მაინც დაიხსომებთ, რა დიდ-მნიშვნელოვანი არის ძროხის ხელის შეწყობა და მისი მოწველა.“ მასწავლებელთ მადლობა გადაუხადეს ტაშის დაკვრით.

ნაშუადღევის ხუთ საათზედ მასწავლებელნი ქალნი და ვაჟნი ბ-ნნი ტიმოფეევის და ქალანთარის მეთაურობით გაემართნენ დიდუბისკენ ბ-ნ ა. თ. ნიკიფოროვის სარძეო ფერმაში. სარძეო ფერმის სადგურთან ბ-ნი ნიკიფოროვი სიხარულით მიეგება მასწავლებელთ და მიიპატიჟა ფერმაში. ბ-ნმა ნიკიფოროვმა მასწავლებელთ წყლის მაგიერ რძე შესთავაზა. ფერმაში თვალ-საჩინოდ განხილულ იქმნა კარაქის მომზადება. დაათვალიერეს ძროხები, ხბორები და ბოლოს მიწვეულ იყვნენ ბ-ნ ნიკიფოროვისაგან თვისს ბაღში, სადაც იგი გაუმასპინძლდა მასწავლებელთ ხილით.

საბალოსნო სკოლის მზრუნველი ბ-ნი ნ. ს. ტიმოფეევი დაესწრო ლექციებს და თვალ-საჩინო გაკვეთილს ფერმაშიაც, როგორც ლექციების ხელთ-მძღვანელი. ბ-ნ ტიმოფეევის გულ-კეთილობა, მხნეობა და ზრუნვა საპედაგოგიო კურსებისათვის სწორედ სანაქებოა. კურსების ინსპექტორი მ. მარკოზ ტყემალაძე სამწყსოში მღვდელ-მოქმედების აღსრულებისათვის იძულებულ შეიქმნა ეთხოვნა ბ-ნ ტიმოფეევისათვის ეკისრნათ დროებით კურსების ინსპექტორის მოვალეობა.

საკვირველია ჩვენი სამაზრო ზედამხედველთა საქმე! იმ დროს, როდესაც მოსკოვსა და კიევში სამაზრო ზედამხედველნი საპედაგოგიო კურსების საქმეების მწარმოებლად ითვლებიან (იხ. **церковная вѣдомость**-ის უკანასკ. ნომერი), ჩვენებური სამაზრო ზედამხედველნი კურსებს შორს გაურბიან. ნუ თუ ცნობის მოყვარეობა მაინც არ აღძრათ? ტფილისში პირველად გაიმართა საპედაგოგიო კურსები, მათი პირ-და-პირი მოვალეობაა ტფილისში ბრძანდებოდნენ, მით უმეტეს, რომ სმა-ჭამა-შენახვაზედ და საგზაოთაც-კი არაფერი არ ეხარჯებოდათ, ყველა ხარჯს სამრევლო სკოლათა სამოსწავლო საბჭო კისრულობდა. განა სამაზრო ზედამხედველთ აწყენდა სამეურნეო ცოდნის შეძენა? განა დასძრახდნენ შეეძინათ სამეურნეო ცოდნა და შემდეგში თვისი სამწყსოსთვის გაეზიარებინათ? ასეთ შემთხვევებს თვითონ უნდა ეძებდნენ და დახე, რომ გაურბიან!

მ—შვილი.

---

*) ვბეჭდავთ ბ-ნ მ. საბინინის წერილს სრულიად შეუცვლელად. რედ.

სახლისიო. შეიქნა აყალ-მაყალი და ბევრი უკმაყოფილობაც განაცხადეს, მაგრამ ბოქაულისთვის თითქო საზოგადოება არც-კი არსებობსო, თავისით გადაიწყვიტა—დარჩეს ძველი მამასახლისი თავის თანამდებობაზედ.

საზოგადოებამ, მაშინვე დეპეშით აცნობა ბ. გუბერნატორს ასეთი უწეს-რიგობა და სთხოვა დაენიშნა ახალი არჩევანი კენჭის ყრით. გუბერნატორმა პასუხათ შემოუთვალა,—უკვე განკარგულება მოვახდინე მაზრის უფროსთან, რომ გაირჩეს თქვენი საქმეო. ხალხმა აღარ იცის რა ქნას;—ნდობა იხე აქვთ გატეხილი, რომ იჭვნეულობენ, ვაი თუ ისევ ძველი მამასახლისი, რომელმაც ასი თუმანი საზოგადო ფულიდგან გადაყლაპა—ამოირჩიონ და ყელები დაგვჭრანო. ძველი მამასახლისის არჩევა მით უფრო მოსალოდნელია, რომ ზოგიერთი საბუთიანადა ჰფიქრობს: ძველი რომ ამოვირჩიოთ, ვალი მაინც იქნება როგორმე გაგვისწოროსო, თორემ ვერაფერს გამოვიტანთ მისგანო; მაგრამ... ვაი თუ ძველს ახალიც მიუმატოს და მერე, მშვიდობითა ბძანდებოდეთო, უთხრას ხონელებს ძველმა მამასახლისმა არჩევანის შემდგომ...

⁂ **ს. ფასანაური** (ხევი). **პარიზის მსოფლიო გამოფენაზე გამგზავრების გამო.** ვაფასებთ-რა დიად მნიშვნელობას ყველა შეგნებულ და გონება გახსნილ კაცისთვის და კერძოთ ჩვენ, ქართველთათვის, მსოფლიო გამოფენაზედ დასწრებისას და ვუერთდებით-რა დარბაისელ და კეთილს განზრახვას ბ-ნ ი. კალანდაძისას, (იხ. ,,ცნობის ფურცლის'' 263 №) საზოგადოების და კასსის დაარსებაზე, ხსენებულ მიზნის მისაღწევად,—ვაცხადებთ საყოველთაოდ სრულს გულითადს სურვილს მივიღოთ მონაწილეობა განზრახულ კეთილ საქმეში, როგორც სულიერად. ისრე ნივთიერად, ვითარცა პირად ჩვენ, აგრეთვე რამდენიმე ჩვენივე თანა მოაზრე მთიულთაგანი. დიდის სიხარულით ვეგებებით ყველანი და მონატრულნიც ვართ, მაგ კეთილ საქმის განხორციელებას.

ალექსი ოგბაიძე

პოლიციის მატიანე

ჩაქუჩით თავის გატეხა. კასპთის ქუჩაზე არტემ ფირუმიანცს ჩხუბი აუტეხნია ზურაბ აბულაძესთან და ამ უკანასკნელისათვის ჩაქუჩით თავი გაუტეხია. დამნაშავე შეიპყრეს.

გორი მეპურის დაჭრა. 24 ამ თვეს იაგორ ციციკაშვილმა დანით დასჭრა აქაური მეპური შიხინოვი. მიზეზი ამ ჭრილობისა ის ყოფილა, თურმე, რომ შიხინოვს პური არ მიუყიდნია ციციკაშვილისათვის და როცა ლაპარაკი მოსვლიათ, შიხინოვს მიშველებია მისივე მეზობელი მეპურე; ამასობაში ციციკაშვილს ამოუღია ჯიბიდან დანა და მძიმედ დაუჭრია ხსენებული შიხინოვი. საქმე სწარმოებს, ციციკაშვილიკი შეპყრობილია.

თეატრის მატიანე

სარრა ბერნარი ჰამლეტის როლში. საფრანგეთის გამოჩენილს არტისტ—ქალს სარრა ბერნარს გადაუწყვეტია გამოვიდეს ჰამლეტის როლში. ეს სურვილი მას დაბადებია და გადაუწყვეტია პრინც უელის ,,რეცენზიით''. პრინცს უნახავ სარრა ბერნარი ვაჟკაც ,,ლორენზაჩიოს'' როლში და იქვე უთქვამს: ,,თქვენ უნდა ითამაშოდ ,,ჰამლეტი»!'' სარრა ბერნარს, რამდენიმე წუთის ფიქრის შემდეგ, გადაწყვეტით უთქვამს: ,,მე ვითამაშებ ჰამლეტს შემდეგ სეზონში ჯერ პარიჟში და შემდეგ ლონდონის სცენაზედ გამოვალ ჰამლეტადაო''.

სხვა და სხვა ამბები

ახირებული განკარგულება. ,,პეტერ. გაზეთ.''სიტყვით, ქალაქ კოტკის (ფინლიანდიაში) პოლიციას შემდეგი ახირებული განკარგულება მოუხდენია: ,,ვინც ქუჩაზე სიმთვრალის დროს, ან სხვა ფრივ წესიერებას დაარღვევს, იმას პირველის ასეთის დანაშაულისათვის აეკრძალება საღამოს ათი საათის შემდეგ ქუჩაზე გამოსვლა, ხოლო თუ იგივე პირი მეორედაც იქმნა შენიშნული წესიერების დარღვევაში, მას აეკრძალება საღამოს ცხრა საათიდამ გამოსვლა ქუჩაზეო''. ჩვენში რომ ასეთი განკარგულება შემოიღონ, სულ ყველანი სახლში იქმნებიან დამწყვდეულნი.

ახალი სატუსაღოები. ამერიკელები ახლა აშენებენ სატუსაღოებს სულ სხვა გეგმაზედ. კედლებში, კარებებში და ფანჯრებში მრავლად გაყვანილია წყალის მილები.

ფანჯრებში სხვილი რკინის მაგივრად ამართულებია წყალის მილები, რომლებიც, თუ ცოტაოდნად შეახდენ, წყალის დენით ატყობინებენ ყარაულებს, რომ ვიღაც ტუსაღი ცოდილობსო. ამ გვარ სატუსაღოებიდგან გაქცევა ძალიან გასაჭირია.

ქვეყნის სიმდიდრე. უმდიდრესი კაცი ქვეყანაზედ, როგორც ახალი გამოკვლევა გვიჩვენებს, ლიხუნ-ჩანგია, ამისი სიმდიდრე 1 მილიარდ გულდენს უდრის, შემდეგ ამერიკელი ჯონ როქფელერია, რომელსაც 400 მილიონი შეძლება აქვს, კორნელ ვანდერბილდი და ვალდორფ ასტორი 380 მილიონი; ალფრედ კრუპი (272 მილ.), ახალგაზდა ჯორჯ გოლდტი და ვესტმინსტრის ჰერცოგი (200 მილ.) და შემდეგ როთშილდი, რომელსაც მხოლოდ 180 მილიონის შეძლება აქვს.

ოსტატური ქურდობა. ოდესის ვაჭრის ბ. გოლდმანის ცოლი ამ ერთი თვის წინად გაემგზავრა ოდესიდგან მარიენბადში. გზაში გაეცნო ერთ ყმაწვილ კაცს, რომელმაც გამოთხოვებისას გამოართვა ,,კარტოჩკა'' (სავიზიტო ბარათი) იმ აზრით, რომ როდესაც ოდესაში მოვალ ვიზიტს გაგიკეთებო. გ—ის ცოლმაც უთავაზა ,,კარტოჩკა'' და ზედ მიაწერა თავისი ადრესიც. გავიდა რამდენიმე დღე ამის შემდეგ და გ—ს სახლთან გაჩერდა ეტლი, საიდგანაც გადმოვიდა ყმაწვილი კაცი. მკვარისაგან გაიგო, რომ ბატონი შინ არის. შეიყვანეს თითონ ვაჭართან, რომელსაც გაეცნო მექარხნე ლერხეს შვილად მარიენბადიდგან. ამასთანავე ამოიღო გ—ს ცოლის ,,კარტოჩკა'' და ცოლისგან გადასცა დიდი მოკითხვა და მისი კარგად ყოფნა. გ—მა რასაკვირველია ამით ისიამოვნა, გამხიარულდა და მიიწვია მხიარული სტუმარი თავის სახლში, სასტუმროში, სადაც დარჩებოდა. სტუმარიც დასთანხმდა. ორი დღის შემდეგ ლერხე მოვიდა გ—ს სახლში, როცა სახლის პატრონი შინ არ იყო, და მისი მოსამსახურე ქალი გაგზავნა სადღაც ზიგომალის სახლში. მოსამსახურემ ორი საათი მეტი ეძება ხსენებული ზიგომალის სახლი, მაგრამ ვერ იპოვა; დაბრუნდა სახლში, სახლი ყველა მხრიდგან დაკეტილი დაუხვდა. მოსამსახურემ იფიქრა ლერხე უთუოდ წასულა და რომ კარებები ღია არ დაეტოვა, დაუკეტია და საცა თითონაც მოვა გასაღებებითო. გავიდა კარგა ხანი, ლერხე არ მოვიდა. საღამო ხანზედ მოვიდა თითონ გ—ი, გაალებინა მჭედელს კარებები, შევიდა სახლში, მაგრამ შენი მტერი—მას გული შეუწუხდა, ყველაფერი აქოთებული, არეული, აღარსად ვერცხლეული, აღარსად ფული, ძვირფასი ნივთები აღარსად იყო. ლერხე, რასაკვირველია, იმის შემდეგ თვალითაც აღარ დაენახვებოდა.

საოჯახო ცნობები

საშუალება მწერების ნაკბენის წინაამდეგ. ზაფხულობით ადამიანი ძალიან შეწუხებულია ხოლმე მწერებისაგან. ბუზები, კოღოები, რწყილები იკბინებიან უწყალოდ და საწყალი ადამიანი ხშირად ნატრობს შეისწავლოს რამე საშუალება ამ მაზეზარი მწერების ნაკბენების მოსარჩენად. წამალი ძალიან ადვილი და იაფიც არის: აიღეთ 6 ნაწილი ნიშადურის სპირტი 10 ნაწ. კოლოდიუმის, 1 ნაწ. სალიცილი აურიეთ ერთმანეთში და რამდენიმე წვეთი მოსცხეთ ნაკბენ ადგილს, უკეთესია, რომ ეს ნარევი აფთიაქში შეუკვეთოთ.

წყალის დაწმენდა. ჩვენში გავრცელებულია მღვრია წყალის დაწმენდა შაბის საშუალებით, მაგრამ მრავალმა არ იცის ხმარება ამ საშუალებისა, შაბით დაწმენდა ყოველ მხრივ კარგია, როგორც სიადვილით, ისე კარგი თვისებით. დიდი ჩაის კოვზი შაბის ფხვნილისა უნდა გაიხსნას $^{1}/_{2}$ სტაქან ცხელ წყალში, შემდეგ შაბიან წყალს ჩაასხამენ 4 ვედრო წყალში, რომელსაც კარგა მოურევენ და შემდეგ დასდგამენ სწორე ადგილზედ გაუნძრევლად 5—8 საათამდე. როცა წყალი კარგათ დაილექება, ფთხილად უნდა გადმოსწუროთ და სუფთა წყალი ტალახს მოაშოროთ. ერთად-ერთი საძნელო აქ წმენდის დიდი ხანია: წყალი გვიანობამდე არ იწმინდება. ამის თავიდგან ასაცილებლად კარგია ოთხად შეკეცილ ტილოში გასწუროთ დაშაბული წყალი, რომელიც აქამდე ორი საათი იყო დადგმული დაშაბის შემდეგ.

შაბით დაწმენდილი წყალი გარდა იმისა, რომ წყალს ტალახსა და თიხას აცილებს, კარგია კიდევ იმით, რომ ნებას არ აძლევს კარგა ხნობამდე გამრავლდნენ მავნებელი ცხოველები (მიკროორგანიზმები), ასე რომ შეიძლება შაბით დაწმენდილი წყალი ორი-სამი დღე იხმაროს კაცმა უშიშრად.

მზე-უჭვრეტა (ლილი-ფერა სემიჩკა), როგორც ქათმების საკენკი. მზე-უჭვრეტის მარცვლები, როგორც დაამტკიცა ინგლისში გამოცდილებამ, დიდად სასარგებლოა კაცმა იხმაროს ქათმების საკვებათ. მზე-უჭვრეტით კვება ქათმებს ჯერ ერთი კვერცხების დადებას ამრავლებინებს და მეორე—ბუმბულს უფრო უმშვენიერებს. მეფუტკრეებისთვისაც მარგებელია მზე-უჭვრიტას გაშენება. რადგანაც ფუტკარი ძალიან ეტანება ამ ყვავილს.

დიდის ხნის სურვილი გამიხორციელდა და საკუთარი ჟურნალის გამოცემის ნება-რთვა მივიღე და ამ 1897 წლის პირველ ენკენისთვიდან, ყოველ თვე და თვე, გამოვა

,,კრებული''

სამი განყოფილებით: 1-ში იქნება ახალი ჯერ დაუბეჭდელი, ყოველგვარი ჩემი თხზულებათაგანი, 2-ში ჩემი თავ-გადასავალი, ანუ ნახული და გაგონილი, ჩვენის ქვეყნისა და ცხოვრების შესახები—შიგა და შიგ ჩართული იქნება ხელ-ახლა ყოველისფერი, რაც-კი ამ ორმოცი წლის განმავლობაში მიწერია,—საჭირო შენიშვნებითა და განმარტებით... 3-ში ზეპირ-გარდმოცემა, ხალხური პოეზია, ე. ი. შაირები, ზღაპრები, ძველი ამბები, ანდაზები, არაკები, გამოცანები, შელოცვები და სხვანი.

რადგანაც ამ უკანასკნელს მეტს მნიშვნელობას ვაძლევთ სხვა ყოველისფერზე, ამისათვის ყველასა ვსთხოვთ, რომ შეწევნა აღმოგვიჩინონ ამ დიდ საქმეში.

საზოგადოდ ხალხურ პოეზიაზე და მისს შეკრების შესახებ ვრცელი სტატია იქნება პირველ ნომერშივე.

წელიწადში გამოვა თორმეტი წიგნი და ეღირება ტფილისში მცხოვრებთათვის **6** მან., ხოლო ქალაქ გარეთ გაგზავნით **7** მან. წელიწადში; ნახევარ წლით-კი **4** მან.

ხელის მოწერა მიიღება

ტფილისში: ,,წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების'' წიგნის მაღაზიაში შიო ქუჩუკაშვილთან (სათავად-აზნაურო ქარვასლაში). ელენე ანტონოვსკისთან—ბიბლიოთეკაში.

იოსებ მერკვილაძის მაღაზიაში (ლორის-მელიქოვის ქუჩა, ზუბალოვის სახ. № 4) და ტფილისის ამხანაგობის ,,შუამავალის'' მაღაზიაში.

ამას გარდა სხვა დაბა-ქალაქებშიაც გვეყოლება აგენტები, რომელთაც ექნებათ დაბეჭდილი და ჩვენი ხელ-მოწერილი ბარათები.

(40—21) ,,კრებულის'' რედაქტორი **აკაკი.**

დამზღვევი საზოგადოება

,,იაკორ''

შეიძლება დაიზღვას თანხა განსაზღვრულის ვადით, ასე რომ იმ პირს, რომელმაც დაიზღვია თანხა, ანუ პოლისის პატრონს, რაკი პირობაში ნაჩვენები განსაზღვრული ვადა დასრულდება, მიეცემა ფული სრულიად: ხოლო, უკეთუ დაზღვეული პირი გარდაიცვალა პირობაში აღნიშნულ ვადამდე, მაშინ მემკვიდრენი ფულს აღარ შეიტანენ და დაზღვეულ თანხას ვადაზედ უნაკლულოდ მიიღებენ და, გარდა ამისა, საზოგადოება აძლევს ყოველ წლიწადს პოლისის პატრონს სარგებელს 5% დაზღვეულის თანხიდამ.

მაგალითი: მამა, რომელიც 30 წლისაა, ვსთქვათ, აზღვევს პატარა შვილისათვის თანხას 5,000 მანათს, იმ პირობით, რომ იგი თანხა შეიტანოს 21 წლის განმავლობაში.

ამ დაზღვევაში იმან უნდა იხადოს ყოველ ოთხ თვეში ერთხელ,—21 წლის განმავლობაში,—74 მანათი და 50 კაპ.

თუ ვინიცობაა მამა მოკვდა, თუნდაც დაზღვევის პირველ წელიწადსვე შვილს ეძლევა 20 წლის განმავლობაში ყოველ წლივ სარგებელი 250 მანათი, და, გარდა ამისა, რა დადგება პირობაში აღნიშნული ვადა, დაზღვეული თანხა 5,000 მანათიც მიეცემა.

უკეთუ დაზღვეული პირი იცოცხლებს დანიშნულ ვადაზედ მეტს, მაშინ დაზღვეული თანხა ეძლევა მას, ანუ პოლისის პატრონს.

დაზღვევა მიიღება ამიერ-კავკასიის უმთავრეს აგენტის საოლქო სამმართველოში **თევდორე ალექსანდრეს ძე ივანოვთან,** ქ. ტფილისში, ერევნის მეიდანზე, ველიამინოვის ქუჩა და სომხების ბაზრის კუთხეში, №2.

ტელეფონი № 51.

Страховое общество

,,ЯКОРЬ''

Страхованіе принимается въ Окружномъ управленіи Главнаго Агента Закавказскаго края ФЕОДОРА АЛЕКСАНДРОВИЧА ИВАНОВА.

Г. Тифлисъ, Эриванская площадь: на углу улицъ Вельяминской и Армянскаго базара, д. № 2.

Телефонъ управленія № 51. (100—41)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 28 Іюля 1897 г. სტამბა ქქ. ი. ხელაძისა, ლორის-მელიქოვის ქ., № 28. რედაქტორ-გამომცემელი **ვალ. გუნია.**